ჩემპიონატი

დინამოელთა ბრწყინვალე რევანში

ბურთის ზუსტი გადაცემები, თავბრუდამხვევი ტემპი, კრიტიკული მომენტები, მეკარეთა ხშირი ნახტომები – აი, როგორ დაიწყო გუშინ ამხანაგი ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე **მოსკოვის "ლოკომოტივისა" და თბილისის "დინამოს"** სარევანშო შეხვედრა.

მწვავე და დაძაბული ბრძოლით აღინიშნა პირველი ტაიმის 23 წუთი, მაგრამ მოწინააღმდეგეთა კარზე თავიდანვე აღმართული ორი თანასწორი ციფრი 0-0 არ შეცვლილა. 24-ე წუთზე პაიჭაძისაგან მიღებულ ბურთს ჯეჯელავა მარჯვენა ფრთიდან მოხერხებულად უბრუნებს ცენტრალურ სამეულს, მეკარე გრანატკინი მაღალი ნახტომით ცდილობს მოიგერიოს სახიფათო ბურთი, მაგრამ ამაოდ, ხარბედიამ თავური გარტყმით მას ხელიდან გამოაცალა ბურთი და გაარღვია ლოკომოტიველთა კარი.

– 1:0 თბილისელთა სასარგებლოდ. ასეთი ანგარიშით დამთავრდა პირველი ტაიმი.

შეჯიბრების მეორე ნახევარში თბილისელებმა საგრძნობლად შესცვალეს თამაში. მათ შესძლეს სრული კონტაქტის დამყარება თავდამსხმელის და ნახევარდამცველთა შორის. მოსკოველები კი შედარებით უსისტემოდ თამაშობდნენ. 26-ე წუთზე პაიჭაძემ, ჯეჯელავამ და მ. ბერძენიშვილმა იშვიათი ოსტატობით გაითმაშეს ლამაზი კომბინაცია, რომელიც მოხდენილი დარტყმით დააგვირგვინა ბერეჟნოიმ. "ლოკომოტივის" მეკარემ გრანატიკინმა მეორე ბურთი მიღო თავის კარში.

განსაკუთრებით საინტერესო იყო "დინამოს" თავდამსხმელთა ლიდერის – ბ. პაიჭაძის მიერ გატანილი მესამე ბურთი, რომლის მსგავსი ჯერ თბილისის მაყურებლებს არ ახსოვთ. ეს მოხდა ასე. პაიჭაძეს, რომელიც მარცხენა ფრთიდან ორი მოწინააღმდეგის მოტყუებით გავიდა გარღვევაზე, გვერდითი ხაზზე უდებენ სარმას, მაგრამ იგი ნახევრად წაქცეული ჰაერშივე აკეთებს არაჩვეულებრივ მობრუნებას – ტრიუკს და ყუმბარისებური დარტყმით ახვევს მოსკოველთა კარის ბადეში "მკვდარ" ბურთს.

მსაჯ ჩერნაგოროვს ეტყობოდა ლოკომოტიველთა მიმართ მიკერძოება, მაგრამ მიუხედავად ამისა, თბილისის დინამოელებმა აიღეს ბრწყინვალე რევანში – მოიგეს მატჩი ანგარიშით – 3:0!

ვ. გ–ლია.
"ახალგაზრდა კომუნისტი", 9 ოქტომბერი, 1939 წ.